



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმალესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ  
კულტურული ტურიზმი, მაგისტრატურა

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

24 მაისი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 17 ივნისი, 2022 წელი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851028
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კულტურული ტურიზმი
უმაღლესი განათლების საფეხური	მეორე საფეხური, მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	კულტურული ტურიზმის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 02.08.2012 N286

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ეკა დევიძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო სილაგაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ალექსიძე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ-საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით შესაფასებლად წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა „კულტურული ტურიზმი“ 2012 სასწავლო წლიდან ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 286; 02.08.2012).

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელია. პროგრამის 120 ECTS კრედიტიდან 80 ECTS კრედიტი სასწავლო, ხოლო 40 ECTS კრედიტი კვლევითი კომპონენტია. პროგრამაში 4 ბლოკია წარმოდგენილი, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო, სამეცნიერო სწავლება, პროფესიული პრაქტიკა და კულტურული ტურიზმი. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ორ მიმართულებად იყოფა: 1. კულტურული ტურიზმის ზოგადთეორიული და რეგიონული ასპექტები და 2. ფინანსურ-ეკონომიკური და მარკეტოლოგიური. პროფესიულ პრაქტიკაზე განსაზღვრულია 10 ECTS კრედიტი, 5 ECTS კრედიტი საკურსო ნაშრომზე, 20 ECTS კრედიტი კი სამაგისტრო ნაშრომზე. ზოგადსაგანმანათლებლო ბლოკზე გამოყოფილია 10 ECTS კრედიტი, სამეცნიერო სწავლებაზე - 40 ECTS კრედიტი, პროფესიულ პრაქტიკაზე - 10 ECTS კრედიტი, ხოლო კულტურული ტურიზმის ბლოკზე - 60 ECTS კრედიტი.

შესაფასებლად წარმოდგენილ პროგრამაში ცვლილებები შევიდა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით: განახლებული პროგრამა განხილულია ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N7; 27.12.2021) და დამტკიცებულია აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N 4; 25.02.2022).

პროგრამა გადამუშავდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. პროგრამის მიზნები გადამუშავდა შრომის ბაზარს მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურა და დიზაინი გადამუშავდა და დაემატა ახალი სასწავლო კურსები; დაზუსტდა სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე; განსაზღვრა სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები; შემუშავდა სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები; განახლდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

პროგრამაზე ბოლ 5 წლის განმავლობაში გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა 10-დან -მდე შემცირდა. პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობაც ამავე

პერიოდისთვის 7 სტუდენტია. სტუნტების მიღება პროგრამაზე ხორციელდება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ. მიმდინარე სასწავლო წელს ჩაირიცხა 3 სტუდენტი. პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე 1 სტუდენტი, სტატუსშეწყვეტილია - 11, სტატუსშეჩერებულია - 2 სტუდენტი, პროგრამას 3 კურსდამთავრებული ჰყავს. პროგრამაში ჩართულია 15 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 7 აფილირებულია. ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა 100 % დასაქმდა, საიდანაც 66% დასაქმებულია კვალიფიკაციის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის გადამუშავების პროცესში აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად ჩართული იყო სტუდენტი და კურსდამთავრებული.

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 24 მაისს დაწესებულებაში მისვლით.

ვიზიტამდე ჯგუფის თავმჯდომარემ დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა, სადაც ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა და შეჯერდა შეკითხვების ჩამონათვალი. უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტებისა და მასალების წარმოდგენის თხოვნა, მათ შორის: სამაგისტრო ნაშრომების ელექტრონული ვერსია, ასევე, პრაქტიკის დღიურები (შეფასებული), ელექტრონულ ბაზებზე წვდომის სტატისტიკა, წიგნების შეძენის ბოლო ინვოისი, პროგრამის ბიუჯეტი, აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიშის ფორმა, პროგრამის სახელფასო ხარჯები და ა.შ. უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე.

შეფასება დაიწყო ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია.

უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა შესაძლებლობას, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას უზრუნველყოფს. ვიზიტი წარიმართა საქმიან და კოლეგიალურ გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

#### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან: 1.1, 2.1, 2.5, 2.6, 3.1, 3.2, 4.1, 4.4, 5.1, 5.2, 5.3 ქვემპონენტები; მეტწილად შესაბამისობაშია 1.2, 2.2, 2.3, 2.4, 4.2, 4.3 ქვემპონენტები.

## ▪ რეკომენდაციები

- პროგრამის პირველი შედეგის ფორმულირებიდან „ახდენს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას..“ ამოღებული უნდა იქნას სიტყვა „ბაკალავრიატში“ და დარჩეს „ახდენს მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას...“.
- 5-5 კრედიტი, რომელიც გათვალისწინებულია რეფერატისა და საკონფერენციო მოხსენება/საჟურნალო პუბლიკაციისათვის, ჩაშენდეს ცალკეული კურსებში იმ თემატიკის გათვალისწინებით, რომელიც არჩეული აქვს სტუდენტს. განთავისუფლებული კრედიტების რაოდენობა შეიძლება გამოყენებული იქნას პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის და ახალი სალექციო თუ პრაქტიკული კურსების დანერგვისათვის.
- შინაარსობრივად ისეთ მნიშვნელოვანი კურსი, როგორცაა არჩევითი კურსი „კულტურული მეკვიდრეობა-დაცვა და მართვა“, გახდეს სავალდებულო.
- რამდენიმე სილაბუსთან (პედაგოგიკა, ეთნოგრაფიული ტურიზმი, კულტურული მეკვიდრეობა - დაცვა და მართვა, მუზეუმი და სამუზეუმო მენეჯმენტი) დართული ლიტერატურის ჩამონათვალი საჭიროებს გარკვეულ მოდერნიზაციას, რათა უფრო მეტი ყურადღება იქნეს გამახვილებული უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე. ზოგ შემთხვევაში, სასურველია, ასევე ლიტერატურის კლასიფიკაციის წესის დახვეწა: მაგალითად, რუსულენოვანი ლიტერატურა გადავიდეს კატეგორიაში „დამხმარე“ ან „დამატებითი ლიტერატურა“ და სხვ.
- გატარდეს აქტიური ღონისძიებები სტუდენტებში პლაგიატის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით.
- რეკომენდებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების უფრო მეტად წახალისება (ფინანსური რესურსის მობილიზება/უზრუნველყოფა), რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის პროდუქტულობის ამაღლებას;
- რეკომენდებულია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა და ცნობადობის ამაღლება საბიბლიოთეკო რესურსის შესაძლებლობების, მისი გამოყენების და მოხმარების წესების შესახებ.

## ▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სტუდენტთა მეტი ჩართულობა უზრუნველყოს უნივერსიტეტმა ერაზმუს + გაცვლით პროგრამებში.
- სასურველია, პროგრამას ჰყოლოდა - გარე შემაფსებელი უცხოეთის უნივერსიტეტებიდანაც, მით უფრო, რომ უსდ-ს აქვს საერთაშორისო კონტაქტები უცხოური ქვეყნების უნივერსიტეტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე:

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ არგუმენტირებულ თვალსაზრისებზე. რეკომენდაციების უმეტეს ნაწილს დაწესებულება ეთანხმება. შესაბამისად, რეკომენდაციები უცვლელი სახით არის წარმოდგენილი დასკვნაში.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
  
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესაფასებლად წარმოდგენილი კულტურული ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა 2012 სასწავლო წლიდან ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N286, 02.08.2012). ამ პერიოდიდან პროგრამის მსვლელობისას მრავალი ცვლილება განხორციელდა. შესაფასებლად წარმოდგენილი მოდიფიცირებული პროგრამა დამტკიცდა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე (N4; 25.05.2022).

პროგრამის მიზნები გადამუშავდა პროგრამის შეუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პირების მონაწილეობით. ჩატარდა შრომის ბაზრის მრავალმპონენტური კვლევა, რომლის საფუძველზეც დაიხვეწა პროგრამის სტრუქტურა. დაზუსტდა სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე; დაიხვეწა სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები; შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; განახლდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

შეაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის მიზანია კულტურული ტურიზმის სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ტურიზმის სტრუქტურებში მუშაობისას შეძლებენ ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემების გამოკვეთასა და ოპტიმალურ გადაწყვეტას.

ასევე, სამაგისტრო პროგრამის მიზანია, პროფილური მეცნიერებების თეორიული საბაზისო საფუძვლების მცოდნე მაგისტრანტებს შეასწავლოს დარგობრივი დისციპლინები, მისცეს სპეციალური ცოდნა და გამოუმუშაოს ახალი უნარები, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ კონკურენტულ გარემოში როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს დამსაქმებლების მხრიდან კურსდამთავრებულთა პროფილურ დასაქმებას. პროგრამის მიზანია, მაგისტრანტებს გამოუმუშაოს კულტურული ტურიზმის სფეროს პროფესიული შეფასების და ანალიზის უნარი; შეასწავლოს კვლევის მეთოდოლოგია, კულტურულ ტურისტული პროდუქტის ანალიზი და შეფასება.

პროგრამის მიზანია შრომის ბაზარი მოამარაგოს პრაქტიკოსი კულტურული ტურიზმის სპეციალისტებით, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნიან კულტურული ტურიზმის თემატურ პროდუქტს; მისცეს მაგისტრანტებს ღრმა და

სისტემური ცოდნა ინოვაციური მეთოდების გამოყენებით კულტურული ფენომენების ტურისტული განვითარებისა და პოპულარიზაციის საკითხებში.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში ასახულია ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც ექნება კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზნები ემსახურება ტურიზმის ინდუსტრიაში კულტურული ტურიზმის მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის წარმართვის უზრუნველყოფისთვის უმთავრესი ცოდნისა და უნარების შექმნას, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. ამასთან, პროგრამის დადარება მოხდა ანალოგ პროგრამებთან, გათვალისწინებულ იქნა მათი გამოცდილება და შეფასდა მათთან მსგავსების კომპონენტები.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა ხელოვნების დარგების განვითარება და კვლევა, ხელოვნების დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და პროფესიონალების აღზრდა. უნივერსიტეტის მისიაა იქცეს გამოცდილების გაზიარების, ახალგაზრდა შემოქმედთა ურთიერთობების და კულტურათა დიალოგის საერთაშორისო ცენტრად. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც გამოკვეთილია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებაზე დაგეგმილი ღონისძიებები.

ამასთან, პროგრამას შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, პროგრამას აქვს ინტერნაციონალიზაციის ხედვა და პოლიტიკა, რომელიც გაზიარებულია თანამშრომლების მიერ და ყველა ჩართული პირი იყო მისი მიღების მონაწილე. ინტერნაციონალიზაციის ხედვა და პოლიტიკა მოიცავს შემოწმებად მიზნებსა და საზომებს, რომელთა ელემენტები ფასდება პერიოდულად და ხელს უწყობს განვითარებისთვის აუცილებელი კრიტერიუმების ჩამოყალიბებას.

ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაძლიერების მაგალითია გერმანელი ლექტორის აქტიური მონაწილეობა პროგრამის მიღმა კომპონენტების განხორციელებაში. მათ შორის, მიმდინარე წლის ზაფხულისთვის დაგეგმილია ადმინისტრაციის, პედაგოგების და სტუდენტების 15 კაციანი ჯგუფ ვიზიტი გერმანიაში სახალხო ფესტივალის ორგანიზებასა და დაგეგმვაში მინაწილეობისთვის, რაც უდავოდ საუკეთესო პრაქტიკაა ყველა მხარისთვის. ადმინისტრაციას განზრახული აქვს უცხოელი ლექტორების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესშიც.

თვითშეფასების დოკუმენტს თან ახლავს კულტურული ტურიზმის პროგრამა, ასევე, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; პროგრამის შედეგები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დადასტურდა აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიუების პროცესში.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კულტურული ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;



- უსდ-ის მისია;
- უსდ სტრატეგია 2018-2024;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების პროცედურა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ანალოგიურ პროგრამებთან დადარების დოკუმენტი;
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი და შეფასების ინდიკატორები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასების მექანიზმები;
- თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგი სახით არის ფორმულირებული:

**„კულტურული ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.**

I. ახდენს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას და თეორიული კვლევის მიმართულებების განმტკიცებას; საქართველოს კულტურული ტურიზმის ბაზრის სეგმენტზე ორიგინალურ იდეების დაგეგმვასა და განზოგადობას; კულტურული ტურიზმისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური პრობლემების (სოციალური, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვ.) იდენტიფიცირებას და გადაჭრის ღონისძიებების დაგეგმვას;

II. შეიმუშავებს კულტურული ტურიზმის ცალკეულ სფეროებში მენეჯმენტის ოპტიმალური ვარიანტებს, კულტურული ტურიზმის რესურსების რაციონალურ ათვისებასა და პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობას; სოციო-კულტურულ სივრცეში გარემოს რეგულირების მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებებს, თვისობრივი შემეცნებით-ტურისტული მახასიათებლების გამოვლენისა და მათი ოპტიმალური რეალიზაციის მექანიზმებს;

III. უზრუნველყოფს კულტურული ტურისტული პროდუქტის დამუშავებას, მასზე ფასის შედგენას, სარეალიზაციო ადგილის შერჩევას და პროდუქტის ბაზარზე წინ წაწევას; ინფრასტრუქტურის ელემენტების კულტურული ტურიზმის სისტემაში შეთავსებას, პრაქტიკაში დანერგვას და ეკონომიკური სარგებლიანობის მიღწევას. კულტურული ტურიზმის ბაზრის სეგმენტში ჩატარებული კვლევის შედეგების არგუმენტირებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ დასაბუთებას მაღალ აკადემიურ დონეზე;

IV. ახორციელებს კულტურული ტურიზმის პროექტების შემუშავების პროცესში, კრიტიკული ანალიზისა და ინფორმაციის სინთეზის საფუძველზე, ინოვაციური მართვის სისტემებში აპრობირებული მეთოდების გამოყენებას; კულტურული ტურიზმის თემატიკაზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების პრეზენტირებას, როგორც კოლეგების წრეში, ასევე დაინტერესებულ საზოგადოებისათვის;

V. ავითარებს ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებს; ადგილობრივ და უცხოელ კოლეგებთან კომუნიკაციას ტურიზმში ახლი საინფორმაციო მიღწევების გაცვლის მიზნით; მონათესავე სფეროებში (მომსახურებისა და ბუნებათმცოდნეობის დარგები) თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის გონივრულ წარმართვას; სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნესის ცალკეული კომპონენტების გრძელვადიანი პროგნოზირების უზრუნველყოფას;

VI. ინოვაციური მიდგომებისა და კვლევის მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად ქმნის კვლევით ნაშრომს, წარუდგენს როგორც დარგის წამყვან სპეციალისტებს, ასევე დარგით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას. გამოაქვს საინტერესო დასკვნები და რეკომენდაციები: კულტურული გარემოს ტექნოგენური რესურსების ანთროპოგენური მოდიფიკაციების ეფექტურ რეალიზაციის შესახებ; გამომუშავებული აქვს სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის უტყუარი ალღო, რაც მიღებული შედეგების ობიექტური შეფასებების მიღწევას უზრუნველყოფს.

VII. იცავს პროფესიული და აკადემიური ქცევის წესებსა და ეთიკის პრინციპებს;

მონაწილეობს გუნდის წევრების პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარებაში; იღებს პასუხისმგებლობას სწავლის შედეგების შეფასებასა და გააზრებაზე საკუთარი საჭიროებების გათვალისწინებით და ასევე, გეგმავს შემდგომ სწავლას და პროფესიულ განვითარებას. აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი და წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში“.

კულტურული ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან „კულტურული ტურიზმის მაგისტრი“ თანხვედრაში, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. იგი შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურის დონეს, ასევე დარგობრივ სტანდარტებს. თუმცა პროგრამის პირველი შედეგის ფორმულირებიდან „ახდენს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას..“ ამოღებული უნდა იქნას სიტყვა „ბაკალავრიატში“ და დარჩეს მხოლოდ „ახდენს მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას...“, რადგან, წინაპირობების შესაბამისად, პროგრამა ღიაა, შესაძლებელია პროგრამაზე სწავლა გააგრძელონ იმ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებმა, რომლებსაც არ აქვთ დარგობრივი კვალიფიკაცია. შესაბამისად, პროგრამის შედეგებში აქცენტის გაკეთება წინა საფეხურის პროგრამაზე არ არის მიზანშეწონილი. მსჯელობის შემდეგ, აღნიშნული თვალსაზრისი გაიზიარა პროგრამის ხელმძღვანელმა.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დაადასტურეს დაინტერესებულმა მხარეებმა: ადმინისტრაციამ, აკადემიურმა პერსონალმა, მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირებისთვის გაცნობილი იქნა სწავლის შედეგები.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და ეყრდნობა შეფასების ადეკვატურ ფორმებს. პროგრამის შედეგები პასუხობს დარგის სპეციფიკას და ტურიზმის ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესებს, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. ბოლო 5 წელში დასაქმდა კურსდამთავრებულთა 100 %, კვალიფიკაციის შესაბამისად - 66,9%.

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა. ასევე, პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა. სადაც დაცულია პროგრამის სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა შედეგების გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების საფუძველზე.

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს შეფასების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების შედეგების შესახებ.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სამიზნე ნიშნულად მიჩნეულია მთლიანი აკადემიური მოსწრების საშუალო ართმეტიკული, რომელიც 71 ქულით უნდა იყოს წარმოდგენილი სტუდენტთა 61 %-ზე მეტისთვის. პროგრამის ცალკეული შედეგისთვის კი დადგენილია სხვადასხვა სამიზნე ნიშნული: დარგობრივ თეორიულ კურსებში, პრაქტიკული და სპეცკურსებისთვის, ასევე

საუნივერსიტეტო და დარგობრივი კურსებისთვის - მინიმუმ 61 ქულა მაგისტრების 80 %-ზე; რაც შეეხება საკურსო და სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის შესრულებას - აქ სტუდენტების 60 %-ზე მეტს მოეთხოვება 70 ზე მაღალი ქულის შეფასების მიღება სამიზნე ნიშნულის მიხედვით შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასების მექანიზმები, სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება იმავდროულად განისაზღვრება სამაგისტრო ნაშრომების შეფასებით. ბოლო ეტაპზე განხორციელებული ანალიზი და ანალიზის შედეგად მიღებული ცვლილებები აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში.

პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება შესაბამისი წესის მიხედვით რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გამოყენებით(წესით განსაზღვრულია 15 ინდიკატორი). შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კულტურული ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების პროცედურა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- თვითშეფასების კითხვარი;
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი და შეფასების ინდიკატორები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასების მექანიზმები;
- თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის პირველი შედეგის ფორმულირებიდან „ახდენს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას..“ ამოღებული უნდა იქნას სიტყვა „ბაკალავრიატში“ და დარჩეს „ახდენს მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას...“.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
<p>პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობა გულისხმობს შემდეგ მოცემულობებსა და საგამოცდო ეტაპებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</li> <li>➤ ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება;</li> <li>➤ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;</li> </ul>

- უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, რუსული, ფრანგული) B2 დონეზე ცოდნა.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა, თავის მხრივ, შედგება სააპლიკაციო პაკეტისაგან, ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტირებისა და ინტერვიუსაგან.

სააპლიკაციო პაკეტში უნდა შედიოდეს:

- აპლიკანტის CV (ავტობიოგრაფია),
- სამოტივაციო წერილი (ესე), რომელშიც აპლიკანტი აღწერს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციას;
- გასაუბრება, რითაც დგინდება აპლიკანტის მომზადების დონე და უნარი აითვისოს საგანმათლებლო პროგრამა. სასურველია, აპლიკანტმა წამოადგინოს საკუთარი ნაშრომი/პროექტი/სტატია, რომელიც საუკეთესოდ ასახავს აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციებს.

აპლიკანტის ენის ფლობის დონე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა B2 დონეზე) შემოწმდება ტესტირების საშუალებით.

აპლიკანტი გათავისუფლდება ტესტირებისგან, თუ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, რომელიც დაადასტურებს ენის ცოდნას B2 დონეზე. აპლიკანტი ასევე თავისუფლდება ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენიდან, თუ საბაკალავრო საფეხურზე სწავლის დროს, მის მიერ უცხო ენაში მიღებული კრედიტი შეესაბამება ენის ცოდნის შესაბამის საფეხურს.

ყველა ჩამოთვლილი წინაპირობა და მისი განხორციელებისათვის დადგენილი პროცედურა არის სამართლიანი, შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისებისათვის აუცილებელი უნარებისა და ცოდნის არსებობის ობიექტურ შეფასებას, ხელს უწყობს პროგრამაზე შესაბამისი კომპეტენციის პირების შერჩევას. წინაპირობები ლოგიკურ ბმაშია პროგრამის შინაარსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამაზე დაშვების ყველა წინაპირობა და მისი განხორციელებისათვის დადგენილი პროცედურა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და მათი განხორციელების პროცედურების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა ფორმით და უზრუნველყოფს კონსულტაციებს დაინტერესებული პირებისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- TAFU-ს ოფიციალური ვებ-გვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები;
- დოკუმენტი „მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების საკითხები“ დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ;

<ul style="list-style-type: none"> <li>○ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება;</li> <li>○ პერსონალის ინტერვიუების შედეგები.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b></p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>კულტურული ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელია. პროგრამის 120 ECTS კრედიტიდან 80 ECTS კრედიტი სასწავლო, ხოლო 40 ECTS კრედიტი კვლევითი კომპონენტია. პროგრამაში 4 ბლოკია წარმოდგენილი, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო, სამეცნიერო სწავლება, პროფესიული პრაქტიკა და კულტურული ტურიზმი. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ორ მიმართულებად იყოფა: 1. კულტურული ტურიზმის ზოგადთეორიული და რეგიონული ასპექტები და 2. ფინანსურ-ეკონომიკური და მარკეტოლოგიური. პროფესიულ პრაქტიკაზე განსაზღვრულია 10 ECTS კრედიტი, 5 ECTS კრედიტი საკურსო ნაშრომზე, 20 ECTS კრედიტი კი სამაგისტრო ნაშრომზე. ზოგადსაგანმანათლებლო ბლოკზე გამოყოფილია 10 ECTS კრედიტი,</p>
--

სამეცნიერო სწავლებაზე - 40 ECTS კრედიტი, პროფესიულ პრაქტიკაზე - 10 ECTS კრედიტი, ხოლო კულტურული ტურიზმის ბლოკზე - 60 ECTS კრედიტი.

კულტურული ტურიზმის მიმართულება, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი სახელმწიფოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების სტრატეგიაში, ემსახურება როგორც ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას მსოფლიოს მასშტაბით, ასე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მაღალი გადახდის უნარის მქონე სეგმენტის მოზიდვას. გლობალიზაციის თანამედროვე დონის გათვალისწინებით, კულტურული ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, კულტურული ლანდშაფტების, არამატერიალური კულტურის ნიმუშების, მულტიკულტურული გარემოს შენარჩუნებას, ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტის (სასტუმროები, ტურისტული სააგენტოები და სხვ.) განვითარებას. ყოველივე ეს განაპირობებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოთხოვნას ხსენებულ სფეროში და პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შედარებით მაღალ პროცენტს მიღებული კვალიფიკაციით.

პროგრამაში - „კულტურული ტურიზმი“ მაგისტრანტი:

- სიღრმისეულად აანალიზებს საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის ობიექტებს, მათ შორის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის ცენტრებს.
- უზრუნველყოფს როგორც საეტაპო მნიშვნელობის მსოფლიოს უნიკალური მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის ძეგლების, ეთნოგრაფიული ჩანახატებისა და ტრადიციების კულტურულ-ტურისტული თავისებურებების წარმოჩენას, ასევე ადგილობრივი ანალოგიური რესურსების ანალიზს და უცხოეთში აპრობირებული მეთოდებით მათი ტურისტულ ინდუსტრიაში დანერგვას.
- ახორციელებს კულტურული ტურიზმის სტრატეგიულ მენეჯმენტთან და ბაზრის მარკეტინგთან დაკავშირებული ცალკეული სპექტრის სამეცნიერო-პრაქტიკული ანალიზის ჩატარებას.
- მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, დისკუსიებსა და დებატებში.
- ეუფლება თეორიული და სოციოლოგიური კვლევის შედეგების კომპილაციური დამუშავების ტექნოლოგიებს და უზრუნველყოფს მინიმუმ ერთი სამეცნიერო პუბლიკაციის წარმოებას მეცნიერ-ხელმძღვანელთან ერთად რეფერირებად ჟურნალში.
- უზრუნველყოფს სპეციალურად შედგენილი და დამტკიცებული სახელწოდებისა და გეგმის საფუძველზე სამეცნიერო ხელმძღვანელის კონსულტირებით სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

აკადემიური ხარისხის მქონე კადრების მომზადების აუცილებლობა განპირობებულია:

- ტურიზმისა და მომსახურების ინდუსტრიაში მართვის მაღალი და საშუალო რგოლების შესაბამის თანამდებობებზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვის აუცილებლობით;



- საქართველოს ტურისტული ბაზრის მოცემულ სეგმენტზე, ტურიზმის სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორში კულტურული ტურიზმის რესურსების მართვის უნარების მქონე ისეთი კადრების ჩამოყალიბება, რომელთაც შეეძლებათ, როგორც პრაქტიკული, ასევე საკონსულტაციო ხასიათის ინოვაციების მიწოდება.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას: პროგრამაში, ზოგად დახასიათებასთან ერთად, დეტალურად არის წარმოდგენილი სწავლების სპეციფიკის შესაბამისი აღწერა, სასწავლო გეგმების, კურიკულუმის, სწავლის შედეგების და ვერბალური ანოტაციების თანხლებით.

სამაგისტრო პროგრამა არის აკადემიური კვალიფიკაციის, მასში გათვალისწინებულია როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ავითარებს მომავალი სპეციალისტის სიღრმისეულ განათლებას, ისევე სპეციალური თეორიული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს განათლებას კულტურული ტურიზმის სფეროში. მთლიანობაში პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია კულტურული ტურიზმის მცოდნე პრაქტიკოსი მკვლევარის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენაზე და ქმნის ამ პროფესიის საფუძველს. პროგრამა ხელს უწყობს მაგისტრის ინდივიდუალური ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების ფორმირებასა და განვითარებას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სალექციო, სემინარული, პრაქტიკულ-ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობების სახით, პროფესიული პრაქტიკის, საკურსო ნაშრომისა და დამამთავრებელი, სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენით. კულტურული ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების 4 სემესტრს – არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით.

სასწავლო პროგრამა პასუხობს ზემოთნახსენებ სტრატეგიულ მიზნებს, თუმცა გვაქვს რამდენიმე მოსაზრება მისი სტრუქტურისა და შინაარსის გაუმჯობესებასთან და კრედიტების განაწილების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით:

- 5-5 კრედიტი, რომელიც გათვალისწინებულია რეფერატისა და საკონფერენციო მოხსენება/საჟურნალო პუბლიკაციისათვის, ჩაშენდეს ცალკეული კურსებში იმ თემატიკის გათვალისწინებით, რომელიც არჩეული აქვს სტუდენტს. გამოთავისუფლებული კრედიტების რაოდენობა შეიძლება გამოყენებული იქნას პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის და ახალი სალექციო თუ პრაქტიკული კურსების დანერგვისათვის.
- შინაარსობრივად ისეთ მნიშვნელოვანი კურსი, როგორცაა არჩევითი კურსი „კულტურული მეკვიდრეობა - დაცვა და მართვა“, გახდეს სავალდებულო.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა „კულტურული ტურიზმი“
- პროგრამის სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი (განხილული სახელოვნებო

<p>მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საბჭოზე 29.03.2018, #5, დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით #70/2);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ნორმატიული დოკუმენტი: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 28 სექტემბერს, დადგენილება N16);</li> <li>○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი <a href="http://www.tafu.edu.ge">http://www.tafu.edu.ge</a>;</li> <li>○ პერსონალის ინტერვიუების შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ 5-5 კრედიტი, რომელიც გათვალისწინებულია რეფერატისა და საკონფერენციო მოხსენება/საჟურნალო პუბლიკაციისათვის, ჩაშენდეს ცალკეული კურსებში იმ თემატიკის გათვალისწინებით, რომელიც არჩეული აქვს სტუდენტს. განთავისუფლებული კრედიტების რაოდენობა შეიძლება გამოყენებული იქნას პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის და ახალი სალექციო თუ პრაქტიკული კურსების დანერგვისათვის.</li> <li>○ შინაარსობრივად ისეთ მნიშვნელოვანი კურსი, როგორცაა არჩევითი კურსი „კულტურული მეკვიდრობა-დაცვა და მართვა“, გახდეს სავალდებულო.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li>✓ <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების

მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის „კულტურული ტურიზმი“ თითოეული სასწავლო კურსი ორიენტირებულია სტუდენტისთვის როგორც თანამედროვე ცოდნის გადაცემის, ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეულ მათგანში გათვალისწინებულია ტურიზმის სფეროში არსებული მიღწევები. მისი უზრუნველყოფა ხორციელდება თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდებისა და მეტწილად განახლებული ლიტერატურის გამოყენებით. კულტურული ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) უზრუნველყოფს კურსის სწავლის შედეგის მიღწევას.

ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტის მოცულობა, მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა განისაზღვრა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი თეორიული, პრაქტიკული, სასემინარო თუ დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობის ადეკვატურობა ფასდება, როგორც სტუდენტების (სტუდენტთა გამოკითხვების საფუძველზე), ასევე კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ (მათ მიერ სასწავლო კურსის თვითშეფასების შევსების საფუძველზე), რომლის შედეგებიც საფუძვლად დაედო რიგი სასწავლო კურსების კრედიტებისა და სააუდიტორიო მუშაობის საათების რაოდენობის განაწილებას.

კულტურული ტურიზმის სამაგისტრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების შინაარსი ძირითადად ეყრდნობა თანამედროვე ქართულ და უცხოენოვან ლიტერატურას, სადაც მოცემულია თანამედროვე სფეროში არსებული მოთხოვნები და გამოწვევები. იმ სასწავლო კურსების განხორციელებისას, სადაც არ მოიპოვება ქართველი ავტორების ან ქართულად ნათარგმნი უცხოური წიგნები, სასწავლო კურსის ხელმძღვანელების მიერ მომზადებულია ქართულენოვანი მასალები (რიდერები), რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის.

რამდენიმე სილაბუსთან (პედაგოგიკა, ეთნოგრაფიული ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა - დაცვა და მართვა, მუზეუმი და სამუზეუმო მენეჯმენტი) დართული ლიტერატურის ჩამონათვალი საჭიროებს გარკვეულ მოდერნიზაციას, რათა უფრო მეტი ყურადღება იქნეს გამახვილებული უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე. ზოგ შემთხვევაში, სასურველია, ასევე, ლიტერატურის კლასიფიკაციის წესის დახვეწა: მაგალითად, რუსულენოვანი ლიტერატურა გადავიდეს კატეგორიაში „დამხმარე“ ან „დამატებითი ლიტერატურა“ და სხვ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „კულტურული ტურიზმი“
- პროგრამის სპეციალური დისციპლინების სილაბუსები.
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი <http://www.tafu.edu.ge>.
- პერსონალის ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რამდენიმე სილაბუსთან (პედაგოგიკა, ეთნოგრაფიული ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა - დაცვა და მართვა, მუზეუმი და სამუზეუმო მენეჯმენტი) დართული ლიტერატურის ჩამონათვალი საჭიროებს გარკვეულ მოდერნიზაციას, რათა უფრო მეტი ყურადღება იქნეს გამახვილებული უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე. ზოგ შემთხვევაში, საჭიროა ასევე ლიტერატურის კლასიფიკაციის წესის დახვეწა: მაგალითად, რუსულენოვანი ლიტერატურა გადავიდეს კატეგორიაში „დამხმარე“ ან „დამატებითი ლიტერატურა“ და სხვ.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓  მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში წახალისებულია სხვადასხვა აქტივობები/ღონისძიებები სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ყოველწლიურ კონფერენციებში, ისე პარტნიორი უნივერსიტეტების, (მაგ.; “Hasan Kalvoncu University” და “Theatre Research and Multimedia Institute of the University of Arts”) მიერ ორგანიზებულ ეროვნულ და საერთაშორისო

კონფერენციებში. ყოველწლიურად ქვეყნდება ჟურნალი სახელწოდებით „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ და აქ ხდება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საკონფერენციო ნაშრომების და სტატიების განავსება.

კულტურული ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად; პრაქტიკა გათვალისწინებულია IV სემესტრში და მას ეთმობა 10 კრედიტი. ასევე სამაგისტრო ნაშრომი გათვალისწინებულია IV სემესტრში და მას ეთმობა 20 კრედიტი. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულები პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები (საქართველოს ტურიზმის ასოციაცია, კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო - ტურიზმის ეროვნული სააგენტო, ტუროპერატორი „აღმოაჩინე საქართველო“ და სხვები) რომლებიც ამავდროულად არიან პოტენციური დამსაქმებლები. მათთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ორივე მხარის ინტერესების დაცვით.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ისაუბრეს, თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი კვლევითი პრობლემების დამუშავებაში, რომლებიც პროფესორთა კვლევების ინტერესს წარმოადგენენ. უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ კვლევითი პროექტების განხორციელებაში; სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში, ჯგუფური პროექტების დამუშავება და პრეზენტაციები ხელს უწყობს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის გაუმჯობესებისთვის ინტერნაციონალიზაციის განვითარება იქნება აუცილებელი, როგორცაა Erasmus+ - ის გაცვლითი პროგრამა.

სტუდენტებმა, ასევე, დაადასტურეს, რომ აგვისტოში უნივერსიტეტის და რექტორის დახმარებით მიემგზავრებიან პარტნიორ უნივერსიტეტში, გერმანიაში, სადაც სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას ერთ-ერთი ღონისძიების დაგეგმვა - ჩატარებაში.

უნივერსიტეტის ხარჯებით, სტუდენტები და კურსდამთავრებულები იყვნენ პარტნიორ უნივერსიტეტში, ჩინეთში სადაც პრაქტიკის კუთხით შეიძინეს გამოცდილება.

ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ რუმინეთში მისი ფესტივალში მონაწილეობა ემსახურებოდა ცოდნის გაღრმავებას, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელებას და მეტი გამოცდილების შექმნას და მისი ეს აქტივობა უნივერსიტეტმა სრულიად დააფინანსა.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათ შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის შიდა სისტემით, სადაც ისახება ქულები, სილაბუსები, პროგრამა, უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობები, სასწავლო მასალები. თუმცა, სტუდენტები და კურსდამთავრებულები არ ფლობდნენ საკმარის ინფორმაციას პლაგიატის შესახებ, ტექსტის დამთხვევის პროცენტულ მინიმალურ დასაშვებ ზღვარზე და სად უნდა შემოწმდეს აღნიშნული ინფორმაცია.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურული ტურიზმი“
- პროგრამის სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები;
- პროგრამის კვლევითი კომპონენტის შინაარსი და მოთხვენები;

<ul style="list-style-type: none"> <li>○ სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის წესი;</li> <li>○ საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენციები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გატარდეს აქტიური ღონისძიებები სტუდენტებში პლაგიატის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სასურველია, სტუდენტთა მეტი ჩართულობა უზრუნველყოს უნივერსიტეტმა ერაზმუს + გაცვლით პროგრამებში.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება (თეორიული კურსების შემთხვევაში) და ა.შ. დემონსტრირების მეთოდი – ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: აუდიოვიზუალური მასალების ჩვენება, ფაქტობრივი, დოკუმენტური მასალის ჩვენება, მულტიმედიური პროექტების დემონსტრირება, ტელე-რადიო</p>

გადაცემების ჩვენება და სხვ. პრაქტიკული მუშაობა – უყალიბებს სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, ინდივიდუალური პრაქტიკა; როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. როლური თამაშები, ისევე როგორც დისკუსია, უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში, უმჯობესია, მასალა აუდიო-ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩინს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, კონკრეტული დავალების (რეპორტაჟი) შესრულება, მისი განვითარების საფეხურების თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი შემოქმედებითი ექსპერიმენტის (მულტიმედიური პროექტი, ტელე-რადიო გადაცემა) ჩატარება. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება. შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, მედიის სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული გადაცემის ან მულტიმედიური პროექტის ანალიზი, განხილვა, შეფასება სხვ. ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის

ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკულ-შემოქმედებითი ინტერპრეტაცია. ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო-შემოქმედებითი დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს/დავალებას და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო-შემოქმედებით პროცესში.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს/შემოქმედებით პარტნიორს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს. ეს გულისხმობს პროექტების ერთობლივ მომზადებას, როლების გადანაწილებას ისე, რომ ერთი აუცილებლად ეხმარება მეორეს მასალის მომზადებაში (მაგ. ტელე-რადიო გადაცემების მომზადება). გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. - პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა; - დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა; - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან; - დავალების მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით; - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა. ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი გამოიყენება მხოლოდ თეორიული კურსების შემთხვევაში და მოიცავს სწავლების სამ სახეს: - დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით. - ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური) სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში. - მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას, როდესაც სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

თითოეული სასწავლო კურსისთვის სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურის კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მათ მიღწევას.სწავლა



- სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრებისას.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „კულტურული ტურიზმი“ პროგრამის სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები;
- წერიტი ნაშრომების შერულების სტანდარტი (დამტკიცებულია აკად. საბჭ. მიერ 23.03.2017, #11);
- სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის დაანგარიშების წესი. დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017. 16. 10 (დადგენილება N17/4);
- სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის წარმართვის წესი ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პირობებში;
- სსიპ- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი;
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების წესი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი <http://www.tafu.edu.ge>;
- პერსონალის ინტერვიუების შედეგები.

#### რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

#### შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურული ტურიზმი სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსში განსაზღვრულია შეფასების სისტემა, ასევე ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა <http://tafu.ini.ge/>, რომლის საშუალებით სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სილაბუსები და სწავლის დაწყებამდე აქვს ინფორმაცია შეფასების ძირითადი მეთოდების, ფორმებისა და კრიტერიუმების შესახებ.

სტუდენტის შეფასება არის გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ აპელაციის შესახებ ფლობდნენ ინფორმაციას, თუმცა სამართლიანად იწერება ქულები და შესაბამისად არ გამოუყენებიათ.

კულტურული ტურიზმის სამაგისტრო პროგრამაში სტუდენტის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი რექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. დადგენილია ზოგადი წესი თითოეული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასებისათვის; განსაზღვრულია ერთიანი სისტემური სტრუქტურა შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, ამავე დროს, გათვალისწინებულია დისციპლინის სპეციფიკა. შეფასების კომპონენტი შეიძლება იყოს ზეპირი განხილვა, დებატები (ზეპირი), გამოკითხვები წინასწარი მომზადების გარეშე (ზეპირი ან წერილობითი), მოკლე ტესტირება (წერილობითი), საკურსო შრომა (წერილობითი), ესე, კრიტიკული წერილი, ანალიტიკური წერილი და სხვ. (წერილობით), პროექტის პრეზენტაცია (ჯგუფური და/ან ინდივიდუალური პრეზენტაცია), ტექსტის ანალიზი (ზეპირი და წერილობითი), საბოლოო ტესტირება (წერილობითი) და საბოლოო გამოცდა (ზეპირი, ან წერილი, ან პროექტი).

საბოლოო შეფასება ზოგადად ნაწილდება შემდეგი სქემით:

I დასწრება – აქტივობა	- მაქსიმუმ 15 ქულა
II სემინარები, დავალებები და სხვ.	- მაქსიმუმ 25 ქულა
III შუალედური შემოწმება	- მაქსიმუმ 20 ქულა
IV ფინალური გამოცდა	- მაქსიმუმ 40 ქულა
საბოლოო შეფასება	- მაქსიმუმ 100 ქულა

კურსის განმახორციელებელი უფლებამოსილია სასწავლო კურსისა და სწავლების კონკრეტული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, სემესტრული ქულების (60%) რანჟირება მოახდინოს საკუთარი შეხედულებისამებრ და გაწეროს შესაბამისი კურსის სილაბუსში.

დამამთავრებელი – სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია, თუ რამდენად აკმაყოფილებს კურსდამთავრებული კულტურული ტურიზმის მკვლევარისათვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და უნარებს, რაც აისახება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ინდიკატორებით. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს კვლევით ნაშრომს მოცულობით 50-60 გვ. A 4, წერილი ნაშრომის შესრულება უნდა მოხდეს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „წერილი ნაშრომთა შესრულების სტანდარტები“-ს (22.11.2010) მიხედვით.

სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ფლობენ ინფორმაციას, თუ სტუდენტი თვლის, რომ მისი ცოდნა ამა თუ იმ დისციპლინის ფარგლებში ობიექტურად არ შეფასდა, ან მიაჩნია, რომ არსებობს ობიექტური ფაქტორი, რომელმაც განაპირობა უარყოფითი შეფასება, მას

შეუძლია, დადგენილ ვადაში, დასაბუთებული განცხადებით მიმართოს დეკანს. საჩივარს განიხილავს დეკანის მიერ შექმნილი დროებითი კომისია, რომელიც ითვალისწინებს შემფასებლის აკადემიური თავისუფლებისა და შეფასების თავისუფალი სივრცის უზრუნველყოფის პრინციპებს. კომისია გადაწყვეტილებას იღებს განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ხმათა უბრალო უმრავლესობით. დაუშვებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გააუარესებს სტუდენტის შეფასებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „კულტურული ტურიზმი“;
- პროგრამის სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები;
- თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები (დამტკიცებულია აკად. საბჭოზე, 11.12.2017. ოქმი #1);
- წერთი ნაშრომის შესრულების სტანდარტები, დამტკიცებული აკადემიურ საბჭოზე 23.03.2017. ოქმი #11;
- სასწავლო პროცესის მარეგულიერებელი წესი - აკადემიური საბჭოს N16 დადგენილება. 28.09.2017;
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის დაანგარიშების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 16 ოქტომბერს, დადგენილება N17/4);
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს (დადგენილება N18/2);
- სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;
- თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <http://www.tafu.edu.ge/wm.php>.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. სურვილის შემთხვევაში, თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, წინასწარი შეთანხმებით, შეხვდეს ლექტორებს, აკადემიურ პერსონალს და გაიაროს კონსულტაცია. არსებობს ინდივიდუალური კონსულტაციების ცხრილი. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით სტუდენტების რაოდენობა მცირეა. საკონსულტაციო საათები გამოყოფილია, თუმცა არასდროს უსარგებლიათ, რადგან ლექციას ესწრება მცირე რაოდენობის სტუდენტები, შესაბამისად საკონსულტაციო დროს არ იყენებენ. იშვიათ შემთხვევებს იხსენებენ, რომ დამატებით გამოეყენებინათ საკონსულტაციო საათები.

უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესის, პროგრამების და აქტივობების შესახებ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია.

მუდმივად ტარდება გამოკითხვა, იმისათვის, რომ უნივერსიტეტისთვის ცნობილი იყოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს რა აკმაყოფილებს და რა არა მაგისტრანტს ამა

თუ იმ საგნის სწავლების გეგმასა და მეთოდოლოგიაში. სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ ისინი მოიაზრებინან როგორც კოლეგები და მათთან აქვთ პროფესორებს კოლეგიალური დამოკიდებულება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ყოველწლიური სტუდენტური კონფერენციები  
[http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=conf\\_stud](http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=conf_stud)
- პერსონალის დატვირთვის სქემა;
- სტუდენტთა ინდივიდუალური კონსულტაციების ცხრილი;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მაგისტრანტებმა დაადასტურეს ინტერვიუს პროცესში, რომ მათ ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებიც არიან უნივერსიტეტის კულტურული ტურიზმის მიმართულების პროფესორები, დარგის აღიარებული სპეციალისტები, გამოცდილი ლექტორები. მათ აქვთ საშუალება, რომ ხელმძღვანელის, ინტერდისციპლინური პროფილის სპეციალისტების, მხრიდან მიიღონ სხვადასხვა მიმართულებით ინსტრუქციები, რეკომენდაციები. მათი კვალიფიკაცია მოიცავს როგორც სახელოვნებო, ისე მენეჯმენტისა და ტურიზმის სფეროებს, შესაბამისად მაგისტრანტისთვის ორმაგად საინტერესოა თემაზე მუშაობა და ხელმძღვანელის რჩევების და რეკომენდაციების გათვალისწინება. ხელმძღვანელები არიან როგორც ხელოვნებათცოდნეობის დოქტორები, ისე კულტურული ტურიზმის მკვლევარები, დარგობრივი სახელმძღვანელოების,

დამხმარე სახელმძღვანელოების და სამეცნიერო-კვლევითი შრომების, პუბლიკაციების ავტორები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიის და მენეჯმენტის ფაკულტეტის კულტურული ტურიზმის მიმართულების აკადემიური პერსონალის CV და პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები.
- დოკუმენტი „ფაკულტეტის გამოცემისთვის წარგენილი წიგნებისა და ნაშრომების სია“;
- კულტურული ტურიზმის მიმართულების სამეცნიერო მაჩვენებელი;
- კულტურული ტურიზმის მიმართულების ყოველწლიური ანგარიშები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ო გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

#### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობაა 15, მათ შორის: პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობაა 15, მათ შორის 1 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 8 მეცნიერი; პროგრამაში ჩართული 15 პირიდან 8 უძღვება ძირითადი სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებს. მათგან: ძირითადი სწავლის სფეროს (დარგი) სასწავლო კურსების/კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი: 8. აქედან 2 პროფესორია: მათ შორის 1 დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, 5 ასოცირებული პროფესორი: რაოდენობა, მათ შორის 3 დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე და 2 მოწვეული პერსონალი (დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე); 1 ასისტენტ პროფესორი (დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე) დარგობრივი აფილირებული პერსონალი 6, მათ შორის დარგობრივი 1 აფილირებული პროფესორი, დარგობრივი 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორი. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა). აღსანიშნავია, რომ პროგრამას გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რაც დადასტურდა ინტერვიუს პროცესში.

აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში; აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში, როგორცაა: ყოველწლიური სტუდენტური კონფერენციები, კულტურული ტურები, ფესტივალები და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით; პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასებასა (პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრი) და განხორციელებაში (კონსულტაცია, კონფერენცია, პროგრამის კურიკულუმის შედგენა). პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
  - აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში;
  - სილაბუსები;
  - ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- შეფასება**
- o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
    - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
    - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
    - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.



## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრის/გასაუბრების დროს დაზუსტდა, რომ უსდ რეგულარულად აწარმოებს და აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს; აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს, როგორც სასწავლო ისე კვლევითი საქმიანობის შეფასებას, კერძოდ: უსდ-ს მიერ შემუშავებული დოკუმენტის: „აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში“ შევსება-განახლება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხდება ყოველწლიურად, დოკუმენტში გათვალისწინებულია სამეცნიერო მუშაობის/საქმიანობის/აქტივობის/ღონისძიების შემდეგი ოთხი კომპონენტი: - „აკადემიური“, „სამემსრულებლო/შემოქმედებითი“, „სამეცნიერო-კვლევითი“, და „ადმინისტრაციული“, რაც მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მიღებული შედეგები ჯამდება და ხდება აკადემიური და მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის შეფასება. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ: სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები იბეჭდება უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრის“ მიერ გამოცემულ სამეცნიერო კრებულებში. ასევე, მხარდაჭერილია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების, სამეცნიერო-კვლევითი კრებულების, მონოგრაფიების და სხვა სახის სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის დაბეჭდვა. უნივერსიტეტი ჩართულია ერაზმუს + საერთაშორისო პროექტში, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია პედაგოგების და სტუდენტების ტრენინგები, ასევე ტრენინგები ადგილობრივ დონეზე (სწავლება/სწავლის მეთოდები და ა.შ.). თუმცა, უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად საჭიროა დამატებით ქმედითი ღონისძიებების გატარება (მატერიალური/ფინანსური რესურსის მობილიზება/უზრუნველყოფა), რომელიც ორიენტირებული იქნება პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს პროგრამის მდგრადობას.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში;
- საქართველო შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმე;
- ინტერვიუს შედეგები.

## რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების უფრო მეტად

წახალისება (ფინანსური რესურსის მობილიზება/უზრუნველყოფა), რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის პროდუქტულობის ამაღლებას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.3 მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა (აუდიტორიები, ვიდეოთეკა, დარბაზები, ბიბლიოთეკის ფონდი) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტში მოქმედებს/ფუნქციონირებს ადგილობრივი ტელევიზია (TAFU TV), გამომცემლობა და სამეცნიერო კრებულები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მიღწევებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის; თუმცა, სტუდენტების ნაკლები ინფორმირების და ცნობადობის ამაღლების საკითხები გამოიკვეთა აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების დროს. შესაბამისად, საჭიროა სტუდენტების ჩართულობის გაზრდა და ცნობადობის ამაღლება საბიბლიოთეკო რესურსის შესაძლებლობების, მისი გამოყენების და მოხმარების წესების

შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბიბლიოთეკო რესურსი;
- გამომცემლობა „კენტავრი“  
<http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=gamocemebi&parent=pub>
- უნივერსიტეტის ტელევიზია TAFU. TV <https://www.facebook.com/TAFUTV>
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა და ცნობადობის ამაღლება საბიბლიოთეკო რესურსის შესაძლებლობების, მისი გამოყენების და მოხმარების წესების შესახებ.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაზუსტდა, რომ სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულია რესურსი შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: შრომის ანაზღაურება, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა/ ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო პროექტები/ საგანმანათლებლო პროექტები. სსიპ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ფინანსდება საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ წლიური ასიგნებით 3 020 000 ლარი.

უნივერსიტეტის საკუთარი შემოსავლები საშუალოდ წელიწადში შეადგენს 1 300 000 ლარს. საკუთარი შემოსავლების უმეტესი ნაწილი არის სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური.

**უნივერსიტეტის ჯამური ბიუჯეტი - 4 320 000 ლარი.**

„კულტურული ტურიზმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს:

5 აკადემიური პერსონალი და 3 უფროსი მასწავლებელი

სახელფასო ფონდი წელიწადში: 105 000 ლარი

სხვა ხარჯი გამოიყოფა უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობიდან და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე. ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

**5.1 შიდა ხარისხის შეფასება**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით იკვეთება, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უსდში კოორდინირებას უწევს სსიპ -საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომლის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა უსდში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ხარისხის სამსახური სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების გზით აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების მომზადებაში, სტანდარტებთან მიმართებით ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში, და გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში.

ზემოთ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეყრდნობა საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებს.

უსდ-ში კარგად არის დაგეგმილი განსახორციელებული პროცედურები, რის საფუძველზეც წარმოებს მიმდინარე პროცესების შეფასება. შეფასების შედეგებზე

დაფუძნებით კი შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება პრინციპის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" საფუძველზე.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებში მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ მნიშვნელოვანი უკუკავშირის მიღებას, არამედ პროგრამის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობის გაზიარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია, რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები; როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები, რაც დასტუდება წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტით და ინტერვიუებში გაჟღერებული ინფორმაციით.

გასაუბრებებით ასევე იკვეთება, რომ სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, მათი კმაყოფილების კვლევა სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდების მოხმარებასა და სხვ.

პერიოდულად მიმდინარეობს კითხვარების განახლება.

გამოკითხვის პროცესში ფაკულტეტი იყენებს, როგორც საუნივერსიტეტო დონეზე რეკომენდირებულ, ისე დამატებით კითხვარებს, რაც უკავშირდება დარგის სპეციფიკას.

ასევე საკმაოდ ეფექტურად მუშაობს კოლეგიალური შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების განმავითარებელ შეფასებას და წარმოდგენს აკრედიტაციის პროცესის ერთგვარ სიმულაციას. რაც მნიშვნელოვანია შიდა ხარისხის შეფასების როლის გაძლიერებასა და კულტურის ამაღლების პროცესში. კოლეგიალური შეფასების პროცესში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები აისახება საგანმანათლებლო პროგრამის დახვეწისა და განვითარების პროცესში.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქტიური დატვირთვა აქვს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას.

წლიური ანგარიშის ფორმას, რომელსაც პერსონალი ავსებს სასწავლო წლის მიხედვით, აერთიანებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, როგორც სამეცნიერო, ასევე შემოქმედებით მიმართულელებით.

შევსებული ანგარიშები გროვდება ფაკულტეტზე, სადაც ხდება ხარისხის სამსახურის მიერ მონაცემების დამუშავება და შემდეგ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალურად აქტივობების დაგეგმვა.

პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი პერსონალის მიერ სამეცნიერო და პრაქტიკული ჩასატრებელი საათები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივ რეჟიმში კონსულტაციებს უწევს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალს, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუდმივად, პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით მიმდინარეობს სწავლისა და სწავლების, კვლევის პროცესების, ადმინისტრირებისა და სერვისების ინტეგრირება ელექტონულ პორტალებზე.

აღსანიშნავია პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამაში ჩართული პერსონალის აქტიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი აქტიურობა ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ტიპის ისეთ შეხვედრებში, როგორცაა სასწავლო-სამეცნიერო პროცესის გამართულობა, პროგრამის შემუშავება, სილაბუსების მომზადება, უკუკავშირების შედეგად მუდმივ რეჟიმში უწყვეტად მიმდინარეობს ცალკეული კურსების მოდიფიცირება, სხვადასხვ ფორმატის საკონსულტაციო თუ სატრენინგო შეხვედრებში მონაწილეობა. ახალი რეგულაციების გაცნობისა ან შიდა რეგულაციების შექმნა-განახლების მიზნით, ასევე მნიშვნელოვანია შეფასების ინსტრუმენტებსა და რეგულაციებზე მიღებული ინფორმაციის ასახვა პროგრამაში.

ყველა მოყვანილი ცვლილება განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, რაც არის პროცესში პერსონალის ჩართულობის გარანტი.

ამდენად, შიდა ხარისხის მექანიზმი დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან შემდგარ ციკლს გულისხმობს, რომლის მიზანია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის მიერ გამოსაყენებელი ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმები გამართულია.

შეხვედრებისას ინტერვიუებში იკვეთება, რომ სამაგისტრო - საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის.

შიდა ხარისხის მექანიზმებით გამოვლენილი ხარვეზების განხილვა აქტიურად მიმდინარეობს თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის მიერ, ასევე ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, მუშავდება ღირებული რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. და საბოლოოდ მტკიცდება უსდ-ს აკადემიურ საბჭოზე.

ინტერვიუებში აღინიშნა, რომ პერსონალის შეფასების შედეგები გაითვალისწინება პროგრამის განვითარების პროცესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

აკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, პროფესორები)

თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ 2021 წელს შემუშავებული ახალი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით მოხდა პროგრამის სტრუქტურის მოდიფიცირება, მაგალითად, პრაქტიკის ელემენტი წინა პროგრამაში ცალკე კომპონენტად არ იყო გამოყოფილი, ახლა კი არის კურიკულუმში ცალკე კურსად წარმოდგენილი, ასევე პროგრამის კურიკულუმს დაემატა კურსი „ტურიზმის კვლევის მეთოდები“, „ფინანსური მენეჯმენტი კულტურულ ტურიზმში“.

კურსდამთავრებულების თქმით, პრაქტიკული კურსების წილი საკმაოდ კარგად არის მოცემულ პროგრამაში, სწავლების პერიოდში იყო პროფესორთან ასისტირების შესაძლებლობაც, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია პროფესიონალად ჩამოყალიბებისათვის, ნათლად ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის მიმართულებები სტუდენტზეა ორიენტირებული და სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებისა და სერვისების მიწოდების

მაღალი ხარისხი; სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია; პერიოდული და ეფექტური მონიტორინგი, შეფასება და სწორი რეაგირებას.

საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმებს, რაც ხორციელდება უსდში შემუშავებული და მოქმედი ხარისხის პოლიტიკის შესაბამისად, იგი ეფუძნება ხარისხის დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგის და გაუმჯობესების შესაბამისი პრინციპების უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს.

დოკუმენტების შესწავლა, გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულებისა და შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, შეფასება და განვითარება, პერსონალის საქმიანობის, სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასება და სრულყოფა, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია, პერიოდული კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება. მიმართულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან.

თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ძალიან კოორდინირებულად და აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა: გადაიხედა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და მიღწევის აქტივობებს შორის კავშირი, შეფასების კრიტერიუმებში მოხდა ცალკეული ხარვეზების გასწორება.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასაუბრებებით იკვეთება, რომ ხარისხის შიდა შეფასების მიზნით აქტიურად გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემაც, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე, შეიმუშავებს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, გეგმავს შეფასების პერიოდულობას, უზრუნველყოფს შეფასებას და მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, იძლევა რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მონაწილეობს სამსახურის მიერ დაგეგმილ შეხვედრებში (იქნება ეს სასწავლო-სამეცნიერო პროცესთან, პროგრამასა და სილაბუსებთან, შეფასებასთან დაკავშირებული სატრენინგო შეხვედრები თუ ახალი რეგულაციების გაცნობისა ან შიდა რეულაციების შექმნა-განახლების მიზნით ორგანიზებული შეხვედრები);

პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს, რამდენადაც ეცნობა და იყენებს გამოკითხვების შედეგებს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვებს, ჩატარებული კვლევების შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის



სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად, პროგრამის გასაახლებლად, პროფესორთა მუშაობის უკეთ დასაგეგმად.

პროგრამის კომპონენტების შეფასების მიზნით ბოლო წელს დაინერგა ელექტრონული სისტემა, რომელშიც ინტეგრირდა პროგრამა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მაქსიმალური რაოდენობის სტუდენტთა გამოკითხვების ჩატარება ონლაინ რეჟიმში. შეფასების შედეგები ხელმისაწვდომი ხდება როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის, ასევე კომპონენტის განმახორციელებლისთვის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი), რაც უზრუნველყოფს კომპონენტის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება - დამტკიცებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ (ბრძანება №05/91 2014 წლის 7 ივლისი. ცვლილებები - ბრძანება № 05/81 2015 წლის 23 დეკემბერი და ბრძანება №05/05 2017 წლის 22 თებერვალი);
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2011 წლის 16 მაისს, ცვლილებები დამტკიცებულია 2017 წლის 03 ოქტომბერს);
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს (დადგენილება N18/3);
- სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის წესი დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს (დადგენილება N 18/4);
- სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 16 ოქტომბერს (დადგენილება N17/2);
- უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესი დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 16 ოქტომბერს (დადგენილება N17/3);
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური ექსპერტიზა (ბრძანება N15/2 – 17.02.2011);
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს (დადგენილება N18/2);
- თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები (დამტკიცებულია აკად. საბჭოზე 11.12.2017. ოქმი N1);
- წერიტი ნაშრომის შესრულების სტანდარტები (დამტკიცებულია აკად. საბჭოზე 23.03.2017. ოქმი N11);
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო

<p>უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის დაანგარიშების წესი - დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 16 ოქტომბერს (დადგენილება N17/4);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი - დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს (დადგენილება N18/1);</li> <li>○ სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი - დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2017 წლის 15 დეკემბერს (ოქმი N 21);</li> <li>○ სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის წარმართვის წესი ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პირობებში (დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე, #12, 19.2020);</li> <li>○ სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი (დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე, #12, 19.2020);</li> <li>○ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია (დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე 16.10. 2017, #17/01, ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე 25.02.2022, #4);</li> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასების მექანიზმები (დამტკიცებულია აკად. საბჭოზე 25.02.2022, #4);</li> <li>○ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები და ფოკუს-ჯგუფები, ამ გამოკითხვების ანალიზები. (დაცულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში);</li> <li>○ აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს ოქმები;</li> <li>○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოკუმენტაციით მკაფიოდ ჩანს, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მომზადებისას ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნით, სრულად არის გაზიარებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარე შეფასების შედეგები (აკრედიტაცია, მონიტორინგი, ავტორიზაცია);

ასევე გაზიარებულია ყველა ტიპის ინფორმაცია უსდ-ში გარე შეფასების ჩატარებისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებასთან მიმართებით.

ინსტიტუცია რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა და სხვ.), განიხილავს მას და მიღებულ რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გარე შეფასების ფარგლებში გაანალიზდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი მიღწევის კომპონენტები, სწავლება-სწავლის მეთოდები, სადაც ჩართული იყვნენ როგორც პოტენციური დამსაქმებლები, ასევე დარგის წამყვანი სპეციალისტები.

კურსდამთავრებულებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ პროგრამიდან მიღებული ცოდნა და უნარები ეხმარება მათ სხვადასხვა პრაქტიკული პროექტების განხორციელებაში, მაგალითად ერთ-ერთი კურსდამთავრებულის თქმით, რომელიც მუშაობს ეროვნულ კინოცენტრში, აღნიშნავს, რომ მის საქმიანობაში პრაქტიკული უნარების ფლობა იყო მნიშვნელოვანი, ამიტომ მან მისცა რეკომენდაცია, აღნიშნულ პროგრამაში მომხდარიყო პრაქტიკის კომპონენტის ცალკე კურსად გამოტანა, რაც ძალიან მისასალმებელია.

იგივე რეკომენდაცია ქონდათ დამსაქმებლებსაც. მათთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ პროგრამის მესვეურებს მათ ურჩიეს პროგრამის სასწავლო კურიკულუმს დამატებოდა ცალკე კურსი: პრაქტიკის კომპონენტი.

მაგალითად: ორგანიზაცია „აღმოაჩინე საქართველოს“ წარმომადგენლის თქმით, პროგრამაში გაჩნდა პრაქტიკული კომპონენტი, რაც ადრე არ იყო და რაც ძალიან ჭირდება კერძო სექტორს.

შესაბამისად, დამსაქმებლების შეფასებით, ეს კომპონენტი „კულტურული ტურიზმის“ პროგრამას მისცემს ახალ განვითარებას.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, უსდსა და კერძო კომპანიას შორის დადებული მემორანდუმების ფარგლებში შესრულდა ტურიტული კომპანიების კვლევა უსდს სტუდენტების ჩართულობით, რაც ხელს უწყობს უსდსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. ეს კი ტურიზმის ღირებულებას წამოწევს წინა პლანზე, ასევე პროგრამა უმნიშვნელოვანესია მუზეუმების გიდების

მომზადებისათვის და სხვა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამას ჰყავს გარე შემფასებლები:

1. ი. ხელაშვილი, თსუ, პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი

2. ნ.კვარაცხელია, საქართველოს საპარტიარქოს უნივერსიტეტი, პროფესორი, ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელი.

პროგრამის ხელმძღვანელის მ.ღვინჯილიას თქმით, გარე შემფასებლის ნ.კვარაცხელიას რეკომენდაცია - პროგრამის კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურის მოძველებულობასა და განახლებასთან მიმართებით, გათვალისწინებულია მათ მიერ.

კერძოდ: ამ რეკომენდაციის შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო კურსებისათვის რიდერების მომზადება ცალკეულ საგნებთან მიმართებით და სამომავლოდაც მოხდება სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნა/მუდმივი განახლება.

მ.ღვინჯილიას თქმით, რიდერების მომზადება გარკვეული გამოასწორებს ამ ხარვეზს. მიმდინარეობს აქტიურად რიდერების მომზადება - ცალკეული კურსების მიხედვით.

ანუ სრულად არის გაზიარებული გარე შემფასებლის მიერ მოწოდებული რეკომენდაცია.

პროგრამის სტრუქტურის შემუშავებისას პროგრამა დაედარა შემდეგი უცხოური უნივერსიტეტების კურიკულუმებს:

1.<https://www.ru.nl/opleidingen/master/tourism-and-culture/curriculum-and-courses/>

Master's specialization in Tourism and Culture. Radboud University. Houtlaan 4. 6525 XZ Nijme

კურსი: კულტურული ტურიზმის თეორია და პოლიტიკა/ Tourism and Culture: Theories and Trends.

2.<https://www.cett.es/en/academic-offer/courses/tourism-management-of-cultural-and-natural-heritage/syllabus#program-and-subjects>, Specialization in Tourism Management of Cultural and Natural Heritage. University of Barcelona

კურსი: კულტურული ტურიზმის ბაზრის მარკეტინგი/Strategic and operational marketing

3.<https://www.ulapland.fi/loader.aspx?id=5970720a-6629-4e6b-9a4d-ffc272f4be24>, Master's Degree Programme in Tourism, Culture and International Management 120 ECTS Degree structure, University of Lapland

კურსი: ფინანსური აღრიცხვა ტურიზმში (დონე II)/ Revenue Management in Tourism

აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის სასახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუებით.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა /სილაბუსები;
- ფაკულტეტის საბჭოს ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები;
- გარე შემფასებლების დასკვნები;
- წარმოდგენილი პროგრამის დადარების დოკუმენტი უცხოური უნივერსიტეტების პროგრამებთან.

რეკომენდაციები:

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასურველია, პროგრამას ჰყოლოდა - გარე შემაფასებელი უცხოეთის უნივერსიტეტებიდანაც, მით უფრო, რომ უსდ-ს აქვს საერთაშორისო კონტაქტები უცხოური ქვეყნების უნივერსიტეტებთან.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებებით ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება მუდმივი და უწყვეტი პროცესია, რაც საფუძველია პროგრამაში ცვლილების შეტანისა - პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

უსდ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას მონიტორინგს და პერიოდული შეფასებას ახორციელებს სპეციფიური კრიტერიუმების და მონაცემების გამოყენებით. რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ:

- ა) სტუდენტები;
- ბ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი;
- გ) დამსაქმებლები;
- დ) პროგრამის კურსდამთავრებულები.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა ითვალისწინებს:

- სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების და/ან სასწავლო პროცესის შეფასებას ელექტრონულ ბაზაში;
- სტუდენტთა კმაყოფილების შეფასებას ელექტრონულ ბაზაში;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერას და სხვა.

გამოკითხვის შედეგები შემდეგ ეგზავნება პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის საბჭოზე განხილვის შემდეგ სათანადო რეაგირების მიზნით შეიმუშავებს სათანადო ღონისძიებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან, კოლეგიალური ურთიერთდასწრება. კონსულტაციები ექსპერტებთან და გარე შეფასების ანალიზი, პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლების, შრომის ბაზრის ტენდენციების ანალიზი.

აკრედიტაციის მზადების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;

ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან აკრედიტაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მზადების პროცესებთან დაკავშირებით;

გასაუბრებისას ინტერვიუებმა აღინიშნა, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის დადარება მოხდა უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, განხორციელდა კურსების შედარება, რათა არ გამორჩენილიყო არც ერთი საკვანძო მიმართულება/კურსი.

ასეთი მიდგომები ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტის თანხები მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, უნივერსიტეტის პროფესორთა კვლევითი საქმიანობის და სტუდენტთა მიერ სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომების შესრულების ხელშეწყობაზე, სტუდენტების ხელშეწყობაზე სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური ჩართულობისათვის.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს პროგრამის განხორციელების პროცესში მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს.

სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები.

მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების

ელექტრონული სისტემა.

ასევე უსდს გაჩნია საკუთარი გამომცემლობა, რაც აძლევთ მათ საშუალებას, საკუთარი შრომები დაბეჭდონ კრებულში, რომელიც გამოიცემა უსდში. ასევე გამოიცემა უსდში ჩატრებული კონფერენციების კრებულები და სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ უსდს ადმინისტრაცია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების ფარგლებში აძლევს პერსონალს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში, მაგალითად ამა წლის ივლისში დაგეგმილია გერმანიაში ფესტივალში მონაწილეობა კულტურული ტურიზმის მიმართულებით.

პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრებებათა სერია ცხადყოფს, რომ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმები უნივერსიტეტში დამუშავებული და გააზრებულია.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის, დამსაქმებელთა გამოკითხვები; გამოკითხვების ანალიზები (დაცულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში);
- ფაკულტეტის საბჭოს ოქმები;
- სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასებები და შედეგები (წლების მიხედვით);
- დასწრების ოქმი;
- კურსდამთავრებულთა კითხვარი;
- პროფესორ-მასწავლებელთა კითხვარი;
- ინტერვიუების შედეგები.

#### რეკომენდაციები:

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

#### შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: კულტურული ტურიზმი, მეორე საფეხური, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ეკა ლეკაშვილი




აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის ხელმოწერა


ეკა დევიძე



ნინო სილაგაძე



ირმა ქურდაძე



მარიამ ალექსიძე

